სსიპ შოთა რუსთაველის
საქართველოს ეროვნული
სამეცნიერო ფონდი

20/05/2026

MES 6 26 0000595879

ბრძანება

თბილისი

შავი ზღვისა და ზღვისპირა რეგიონის კვლევების საგრანტო კონკურსის - „შავი ზღვის ლურჯი განვითარება 2026 წლის საგრანტო კონკურსის ფარგლებში წარმოდგენილი საგრანტო განაცხადის მოხსნის შესახებ

,,შავი ზღვისა და ზღვისპირა რეგიონის კვლევების საგრანტო კონკურსის – „შავი ზღვის ლურჯი განვითარება" დებულების დამტკიცების შესახებ" საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2023 წლის 27 დეკემბრის N149/ნ ბრძანებით დამტკიცებული დებულების მე-7 მუხლის მე- 3 პუნქტის, შავი ზღვისა და ზღვისპირა რეგიონის კვლევების საგრანტო კონკურსის - „შავი ზღვის ლურჯი განვითარება" 2026 წლის საგრანტო კონკურსის გამოცხადების, კონკურსის პირობების, პროექტის ფორმების და პროექტზე თანდართული დოკუმენტაციის დამტკიცების შესახებ, „სსიპ - შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის გენერალური დირექტორის 2026 წლის 1 აპრილის N 387478 ბრძანებით დამტკიცებული კონკურსის პირობების მე-5 მუხლის მე-7 პუნქტის, „სსიპ - შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის დაფუძნებისა და მისი წესდების დამტკიცების შესახებ" საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 28 ივლისის N62/ნ ბრძანებით დამტკიცებული წესდების მე-5 მუხლის მე-2 პუნქტის „ე" და ,,რ'' ქვეპუნქტის საფუძველზე და სსიპ შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის (შემდგომში - ფონდი) საერთაშორისო თანამშრომლობის და საზოგადოებასთან ურთიერთობის დეპარტამენტის უფროსის მოვალეობის შემსრულებლის N 588825, 19/05/2026 სამსახურებრივი ბარათის შესაბამისად,

ვბრძანებ:

1. შავი ზღვისა და ზღვისპირა რეგიონის კვლევების საგრანტო კონკურსის - „შავი ზღვის ლურჯი განვითარება 2026 წლის საგრანტო კონკურსის პირობებთან შეუსაბამობის გამო კონკურსიდან მოიხსნას შემდეგი საგრანტო განაცხადები:
პროექტის შიფრი; **BS-26-318; BS-26-285; BS-26-142.**
2. დაევალოს სსიპ შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის საერთაშორისო თანამშრომლობის და საზოგადოებასთან ურთიერთობის დეპარტამენტს წინამდებარე ბრძანების განთავსება ფონდის ვებგვერდზე;
3. ბრძანება ძალაშია ვებგვერდზე გამოქვეყნებისთანავე;
4.ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს მისი ძალაში შესვლიდან ერთი თვის ვადაში თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მის: ქ. თბილისი, დ. აღმაშენებლის ხეივანი №64);

სსიპ - შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული
სამეცნიერო ფონდი
გენერალური დირექტორი
დოჭვირი თეიმურაზ

თ. დოჭვირი

ელექტრონული
ფაქტობრივი
ელექტრონული